„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შეშეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №5 (282) 15 მაისი, ოთხშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

თუ ღმერთი არ იცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი

დიდი დღესასწაულები

5 მაისს კვირაცხოვლობა, უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის აღდგენისა და ქალაქის დღე აღინიშნა

ფოთში მე-6 გვ

XX საუკუნე - საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო, ფრთხილად ქართველებო, - არ გასამდეს!

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა - ნუ დავკარგავთ შანს გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა

ჯერ კიდევ როდის იყო დემოკრატია საქართველოში

მეფის - ქალისა და წმინდანის, თამარის დღე

ევროპამდე კარგახნით ადრე ასე იწყებოდა დემოკრატია ჩვენში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია" მეფედ კურთხევა თამარმა მიიღო დიდებულთა დარბაზის მხარდაჭერით. როგორც მეფეს დიდი უფლებები ქონდა, რაც უპირატესად მოვალეობაში გადადიოდა. ეს იყო სამშობლო, უფალი, ქართველი ერი, მისი კეთილდღეობა, კულტურის და განათლების სრულყოფა. დიდი მეფე გლეხს ათავისუფლებდა ყველა სახელმწიფო ვალდებულებისაგან, თუ „ვეფხისტყაოსანს" ზეპირად ისწავლიდა, რამეთუ იგი ბიბლიაა ჩვენი, ერის დირსება. მის სიდიადეს მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნი". არადა, სად იყო ევროპა, როცა ეს გენიალური ნაწარმოები იწერებოდა.

თამარი კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველობას ოქროს ხანას, რომელიც უნდა დავიბრუნოთ.

გახედვა მომავლისაკენ

ფოთის მომავალი სანავსადგურო და საზღვაო დაჩბების განვითარებას უკავშირდება - ოჩი ღრმანყლიანი ჰორიზონტის მშენებლობაზე 5000 ჯერ დასაქმდება



ფოთის მერი, გოჩა კურდღელია: **ქალაქი ყველა პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას, რამეთუ იგი ერთია თავისი სიხარულითა და საჭკივარით**

მე-2 გვ

26 მაისს დაიბადა მერაბ კოსტავა-საქართველოს ეროვნული გმირი



საქართველო უყვარდა, საქართველოსთვის ენამა, მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა. თანამდებობები არ უძებნია, მხოლოდ ქვეყნის საცვივარი სჭირდა

შავლეგო, როგორ აკლიხარ ქვეყანას!

წინამურიდან -ხიბულამდე

ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება



„ღიდთა ხეთა მოეხევის, მსიჩე დასნვავს ნაპეხნაური"

ტაძარი ის ნავთასყუდელია, რომელიც სწორი გზიდან გადასვლის უფლებას არავის აძლევს!

საუკუნის მემორანდუმი:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია-ფოთის მერია

მეცნიერება ჩაერთვება ფოთის ეკონომიკური და საზღვაო დარგების პრობლემების გადაწყვეტაში მე-5 გვ

ქართულმა გენიამ მსოფლიო გადაარჩინა

9 მაისი -ფაშიზმზე- სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაული

უთანასწორო ბრძოლა მოიგო რწმენამ, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვამ, სამშობლოს სიყვარულმა, რომელიც დროდადრო უფერულდება, რომ ეს ბრძოლა იყო უაზრო, რომ სხვის ომში დაიხოცა ქართველობა, და სხვის სამშობლოს იცავდა. მავანს დღემდე ვერ გაუგია ფაშიზმის არსი, რას გადაურჩა მსოფლიო ქართული გენიის წყალობით.

საქართველომ გიორგობა აღნიშნა

უძველესი ხელნაწერი მხედარი ფარავდეს სრულიად საქართველოს

მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღე აღნიშნა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო ლიტურგია სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა.

პრეს ნიუსი

მიმდინარე წლის 29 მარტს, „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის სესიამ თბილისში განიხილა აკადემიის პრეზიდიუმის რეკომენდაცია „ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად ფოთის სათაო რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, აკადემიკოსის, ქალბატონ დოდო ხუხიას არჩევის საკითხი.

რეკომენდაცია ერთხმად იქნა მიღებული და მხარდაჭერილი.

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმი

პოლიტიკა

საქართველო ეროვნულ რელსებზე უნდა გადავიდეს და ბიძინა ივანიშვილიც უნდა მოეშვას დემოკრატიის გამო, მისი და ხალხის მტრების შემწყნარებლობას შინ თუ გარეთ.

ვის ყავს გვარამიას საგინებელი დედა, ან ვინ დგას ამ ვითომ გამბედავი კაცის უკან? მე-3 გვ

გახედვა მომავლისაკენ

ფოთის მომავალი სანავსადგურო და საზღვაო დაჩბების განვითარებას ეხავშიხდება-ოხი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობაზე 5000 ჯასი დასაქმდება

ფოთის მერი გოჩა კურდღელია: ***ქალაქი ყველა პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას, რამეთუ იგი ერთია თავისი სიხარულითა და სატკივარით***

წელიწადნახევარი გავიდა ქალაქ ფოთის მერად ბატონ გოჩა კურდღელიას არჩევიდან და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის გეოსტრატეგიული ფუნქციის რეალიზაციისათვის. ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ ქ. ფოთის მერს ბატონ **გოჩა კურდღელიას**.

ბატონო გოჩა,

-თქვენი მერად არჩევიდან წელიწადნახევარის შემდეგ რისი თქმა შეგიძლიათ, რამდენად შეძელით ამომრჩეველთა დანაპირების შესრულება?

გოჩა კურდღელია: ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლე ქალაქის მომავალი განვითარების პერსპექტივას რეალურს ხდის. ფოთის მომავალი სანავსადგურო და საზღვაო დარგების განვითარებას უკავშირდება. ორი ახალი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა, სადაც 5000 კაცი დასაქმდება. თევზისრეწვა და თევზისგადამამუშავებელი პროექტების რეალიზაცია ამის თქმის საფუძველს გვაძლევს.

ახლახან მოეწერა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციასა და „პეის ჯგუფს“ შორის ძალიან მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ქალაქ ფოთში აშენდება ახალი პორტი და ტერმინალი.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად „აიპმ ტერმნალმა“ ეკონომიკის სამინისტროში წარადგინა ახალი პროექტი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის. აშშ თანაინვესტირების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, რათა მიიღოს მსოფლიოში ყველაზე დიდი წყალწყვის გემები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებას - დაახლოებით 5000 კაცს ორივე პორტის მშენებლობაზე.

ეს საშუალებას მოგვცემს საქართველო გადავაქციოთ რეგიონისთვის ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო ამ ყველაფერში ლოჯისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს იქნება თანამედროვე სატერმინალო კომპლექსი, რომელიც დიდად დაეტყობა ქვეყნის და რეგიონალურ ეკონომიკას.

მძლავრი საზღვაო ინფრასტრუქტურა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, ჩვენი ქვეყნის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბების საქმეში, რათა საქართველო გახდეს რეგიონულ ეკონომიკური ცენტრი და ლოჯისტიკასა და სატრანსპორტო ჰაბი.

ბატონო გოჩა,

- ქალაქის ეკონომიკური წინსვლა, მისი სტრატეგიული და მრავალდარგობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, მეცნიერულ მხარდაჭერას მოითხოვს.ასევე პრიორიტეტულია ახალი კადრების მომზადება ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის.

გოჩა კურდღელია: *სანავსადგურო ქალაქის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. ქართველი მეცნიერები მზადყოფნას გამოთქვამენ მიიღონ მონაწილეობა საზღვაო ქალაქის პერსპექტიული განვითარების, ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლების და განვითარების საქმეში. ეკოლოგიური, საზღვაო, საგანმანათლებლო და ქალაქთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გადაწყვეტაში.*

მინდა მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისათვის აკადემიის პრეზიდენტს ბატონ **გიორგი კვესიტაძეს**, ფოთის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ **პეტრე ბერაიას**. ფოთელთა საზოგადოების ხელმძღვანელს **სპარტაკ გოგინავას**, **გივი აბდუშელიშვილს**, მშობლიური ქალაქის პრობლემებით დაინტერესებისა და საამისოდ პრაქტიკული გზების ძიებისათვის.

მნიშვნელოვან მემორანდუმს მოეწერა ხელი ბათუმის საზღვაო აკადემიასთან, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ალექსანდრე მოწერელიას უშუალო ჩართულობით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ყოფილი ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციისა და იქ საზღვაო სასწავლებლის გახსნის შესახებ. ახალგაზრდები დაეუფლებიან იმ სპეციალობებს, რომელიც ქალაქში საზღვაო საქმის აღორძინებას უკავშირდება და ამ მხრივ აკადემიის სასწავლო სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება მართლაც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

ბატონო გოჩა,

-თქვენ ბიზნესმენი ხართ და თქვენგან უპირველესად ამ დარგის ხელშეწყობას მოელიან. მხედველობაში გვაქვს მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. დიდ იმედს ვამყარებდით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე. სამუშაოს არ არსებობის გამო ადამიანები ტოვებენ ქალაქს, ქვეყანას.

გოჩა კურდღელია: მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის შეიქმნილია ფონდი, გასცემს დაბალპროცენტიან სესხებს, მოქმედებს სტარტაპები. ასევე ტარდება ღონისძიებები საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. პრიორიტეტია ქალაქის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ვინაიდან ფოთი ,,აბრეშუმის გზის" საკვანძო ქალაქი იყო ოდითგან.რაც შეეხება სამუშაო ადგილებს, ამუშავდა რამოდენიმე მსხვილი სამკერვალო ფაბრიკა, კომპანიამ ,,აჭარა ტექსტილი" 2018 წელს 1500-ზე მეტი ადამიანი დაასაქმა. სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობა 3000-ს მიაღწევს. მთლიანად რეგიონში ,,აწარმოე საქართველოში და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის, სახელმწიფო პროგრამების" ფარგლებში 2018-2021წ. 6 მილიონ ლარამდე თანხა გაიცემა და 900-მდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მათ შორის 300-მდე უშუალოდ ფოთში. როოგორც ზემოთ ავღნიშნე, ორი ახალი პორტის მშენებლობაზე 5000 კაცი დასაქმდება.

ბატონო გოჩა,

-ქალაქში გაჭიანურდა წყალარინების სისტემის მშენებლობა

სამწუხაროდ, წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით არის რიგი პრობლემები. ვადევნებთ თვალს მშენებლობის ტემპებს, რაც ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია. „გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, შევხვდით „Tahal BV“ სამუშაო ჯგუფს, რომელიც აღნიშნულ პროექტს ასრულებს და მოვითხოვეთ ვადების დაჩქარება. ამ ეტაპზე „Tahal BV“-ის ექვსი ბრიგადა, რამდენიმე ლოკაციაზე მუშაობს. კომპანიის მხრიდან არის დაპირება, რომ გაიზრდება სამუშაო ჯგუფების რაოდენობა. თუკი არ მოხდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადების დაცვა, არ გამოვრიცხავ დადგეს საკითხი გადაიხედოს კომპანია „Tahal"-თან გაფორმებული ხელშეკრულება.

მიმდინარე პროექტები ითვალისწინებს 145 კმ ქსელის მოწყობასა და 28 ერთეული სატუმბი სადგურის მშენებლობას.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, რამეთუ ამის პარალელურად, ქუჩებში უნდა მოხდეს ასფალტის საფარის რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. დღემდე, ფოთის მოსახლეობის 60% კანალიზაციის სისტემით ვერ სარგებლობს, ამორტიზებულია და არ ფუნქციონირებს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაც.

ბატონო გოჩა,

- ქალაქისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა ავარიული წყალგამყოფი ხიდი მე-7 კილომეტრზე. ასევე თქვენ ამომრჩევლებს დაპირდით ქალაქის შემოსასვლელი ხიდის მშენებლობას.

გოჩა კურდღელია: ჰიდროკვანძის რეაბილიტაცია იყო ჩვენი გუნდის დაპირება და ჩვენ ეს დაპირება შევასრულთ კიდეც.

პროექტის ფარგლებში ახლით შეიცვალა ამორტიზებული ელექტროტექნიკა, აღდგა კაშხლისა და ფარების მექანიკური ნაწილები, ასევე, გარემონტდა წყალგამყოფი კაშხლის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები. მოსალოდნელი წყალდიდობის შემთხვევაში ნაგებობა მზადაა წყლის მაქსიმალური მოცულობის გასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს ნაპირგამაგრებით პროცესებს კუნძულის უბნის სანაპირო ზოლზე.

მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციისთვის 1 367 815-მდე ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება ახალი ხიდის მშენებლობას, მუშავდება პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გარემოს დამცველი ორგანიზაციების მოთხოვნები, რაც უკავშირდება მდინარე რიონის ბინადარი კოლხური ზუთხის დაცვას.

ბატონო გოჩა,

- ფოთს აწუხებს პრობლემები, რომელსაც მარადიულს უწოდებენ, ესაა ზღვის სანაპიროს გამაგრება, იტბორება ქალაქი, კედება პალიასტომი და კაპარჭინის ეკოსისტემა

გოჩა კურდღელია: ეს საკითხებიც დადებითად წყდება. ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი -მდ. კაპარჭას 3 700 მეტრიანი ზოლის გაწმენდაზე. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

პროექტი გულისხმობს - მდინარე კაპარჭის გამტარუნარიანობის აღდგენას, რის შედეგადაც მდინარე კაპარჭაზე შესაძლებელი იქნება სანიჩბოსნო სპორტული ღონისძიებების ჩატარება.

მდინარე კაპარჭის ამოწმენდის შედეგად მიღებული ლამი, როგორც ბუნებრივი ორგანული სასუქი, სოფლის მეურნეობაში იქნება გამოყენებული.

პროექტი ხელს შეუწყობს მდინარე კაპარჭის წყალგამტარიანობას და პალიასტომის ტბის ეკოსისტემის აღდგენას.

პალიასტომის ტბის გამტკნარებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ვამუშავებთ პროექტს მდინარე ფიჩორის პალიასტომის ტბასთან შემაერთებელი ბუნებრივი არხის აღდგენაზე, რაშიც ჩართული არიან მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებიც.

ბატონო გოჩა,

- ფოთელების დიდი ხნის ოცნებაა თანამედროვე დასასვენებელი საზღვაო კომპლექსების აშენება მალთაყვასა და კუნძულის უბანში.

გოჩა კურდღელია: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითერიბისთვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობამ 2017 წელს მიიღო განკარგულება, რომლის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ურბანიკას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შემუშავდა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმა. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, თუმცა ხარვეზებით, რომლის აღმოსაფხვრელად დასახულია ღონისძიებები.

კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოებში, რომელიც წელს უნდა დაიწყოს რეგიონალური განვითარების ფონდთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, და რომელზეც 5 მლნ ლარი დაიხარჯება, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოები ნაპირგამაგრებითი კუთხითაც. მინდა აღვნიშნო, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იმუშავებს.

პროექტი ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ზოგ შემთხვევაში ეს არის საოჯახო სასტუმროები, ზოგ შემთხვევაში სასტუმროები ბუნების მოყვარულთათვის და დიდი აქცენტია გაკეთებული სპორტული ტურიზმის განვითარებაზე.

ასევე, გათვალისწინებულია რამოდენიმე დიდი მოედნის და ერთი სტადიონის მშენებლობა. ამ ყველაფერთან ერთად გამოიყოფა ცალკე უბანი სპორტსმენებისთვის.

ასევე განხორციელდა მცირე პროექტები, დიდების მემორიალის კეთილმოწყობა, უპოვართა სახლის შეკეთება, ფარნავაზის ქუჩის განახლება,საცურაო აუზისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, გათვალისწინებულია ქალაქში სანერგე მეურნეობის აშენება, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო გავალამაზოთ და გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი. მიმდინარეობს ელექტროქვესადგურებისა და სხვა კომუნიკაციების განახლება, თეატრის რემონტი, საზაფხულოდ პლაჟების კეთილმოწყობა,სამაშველო სამსახურების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, დაწყებულია ზღვის ზოლის განათების სამუშაოები, კერძო პირებს საშუალება ექნებათ აუქციონის პირობებით მოაწყონ სავაჭრო ობიექტები.

ბატონო გოჩა,

-ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად არის მიჩნეული.

გოჩა კურდღელია: ამ საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, იგი მოიცავს კულტურისა და დასვენების კერებს,სასტუმროებს, გზებს და ა. შ. ჩვენ კარგი ბაზა გვაქვს, ზღვა, მალთაყვისა და კოლხეთის ეროვნული პარკები უნიკალური პირველყოფილი ბუნებით. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ესაა ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა და რაც მთავარია, აქვე იგეგმება წყალსათხილამურო ინფრასტრუქტურის გაფართოვება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის რეაბილიტაციას განახორციელებს. სამუშაოები 2019 წლის მე-2 კვარტლიდან დაიწყება.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს გეგმავს. ეს არის: საფეხმავლო ბილიკების, დასასვენებელი ბაქნების და სათამაშო (საბავშვო) მოედნების მოწყობა; გამწვანება და მწვანე ნარგავებისგან მხატვრული ფორმების შექმნა, არსებული შადრევნის რეკონსტრუქცია და დამატებით ახალი შადრევნის, ღია სასცენო ნაგებობის, ატრაქციონების მოწყობა.

ბატონო გოჩა,

-ქალაქი სადაც დაირწა ფეხბურთის აკვანი, ბოლო დროს ვერ დაიკვეხნის სპორტის ამ სახეობაში დიდი წარმატებებით. ამის მიზეზი საფეხბურთო სტადიონის არქონაც იყო ალბათ?

გოჩა კურდღელია: ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა, რომელიც დასავლეთ ტრიბუნის, შიდა და გარე კომუნიკაციების, გასახდელების, საშხაპეების, სათავსოების მშენებლობასა და ტრიბუნის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას ითვალისწინებდა. შედეგად გვაქვს ევროპული სტანდარტის სტადიონი და მოედნის მწვანე საფარი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ გვაჩუქა

საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "ელიტა ბურჯი" ახორციელებდა.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქს მალე კიდევ ერთი განახლებული სტადიონი შეემატება. ფო-

გაგრძელება მე-3 გვ

გახედვა მომავლისაკენ

ფოთის მომავალი სანავსადგურო და საზღვაო დაჩებების განვითარებას უჯავშიჩდება-ოჩი ღრმაწყლიანი პოჩტის მშენებლობაზე 5000 ჯარი დასაქმდება

ფოთის მერი გოჩა კურდღელია: ***ქალაქი ყველა პარტიის ინტერესებზე მაღლა დგას, რამეთუ იგი ერთია თავისი სიხარულითა და საჭკივარით***

დასაწყისი მე-2 გვ

თის საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ფეხბურთის ფედერაციამ სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაიწყო.

აშენდება 2 სათამაშო მოედანი, ტრიბუნები, გასახდელი შენობები, მოეწყობა თანამედროვე განათების სისტემა. უდავოდ სასიხარულო ფაქტია, ჩვენს საბავშვო საფეხბურთო გუნდებს ვარჯიშისა და თამაშის საუკეთესო პირობები ექნებათ.

ფოთში სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა მიმდინარეობს. ობიექტზე დასრულებულია ფუნდამენტის ჩაყრის სამუშაოები და კომპანია, პროექტის შესაბამისად, შემდგომი სამშენებლო პროცესის დასაწყებად ემზადება.

მშენებლობას კომპანია „ჩობრა Iნსტალაციონეს სერვიციოს, შ. . ბრანცჰ ეორგია “ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 14 500 136 ლარია. საცურაო აუზი 350 ადამიანზეა გათვლილი.

პროექტი ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას უშუალო ჩართულობით ხორციელდება.

ბაჭონო გოჩა,

-ფოთში გაიზრდა ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში, რატომღაც ქალაქი სანიჩბოსნო ბაზის გარეშე დარჩა.

გოჩა კურდღელია: როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგეგმება მდ. კაპარჭას ამოწმენდასთან ერთად სანიჩბოსნო სკოლის მშენებლობაც, რაც სპორტის ამ სახეობის განვითარებას და ტრადიციების აღდგენას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით 700 ათასი ლარი დაიხარჯება.

ჩვენს ქალაქს სპორტის ნიჩბოსნობის ნამდვილად დიდი ტრადიციები გააჩნია. უნდა მოხდეს მათი აღდგენა. მდინარე კაპარჭის ამოწმენდა საშუალებას მისცემს სპორტსმენებს მთელი წლის განმავლობაში ჩაატარონ წვრთნები. სპორტის ამ სახეობის განვითარება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქალაქისთვის, როგორც ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვის ისე ტურისტების მოზიდვის კუთხითაც. ბუნებრივი პირობები, საშუალებას გვაძლევს გავმართოთ საერთაშორისო დონის შეჯიბრებები და ეს მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

ბაჭონო გოჩა,

-რას იტყოდით ფოთში ახალი მეტეო რადიოლოკატორის ამოქმედებაზე?

გოჩა კურდღელია: ფოთში ახალი მეტეო რადიოლოკატორი ამოქმედდა. საქართველოში, მსოფლიო მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესო წინასწარი მეტეო გაფრთხილების სისტემა იფუნქციონირებს.

ეკონომიკის სამინისტრომ შპს "საქაერონავიგაციასთან" ერთად, ფოთში ახალი მეტეორადიოლოკატორის დამონტაჟებით, დაასრულა ერთიანი საავიაციო მეტეოროლოგიური სისტემის შექმნის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელმაც სრულყოფილი გახადა საავიაციო მეტეო ინფორმაციის მოპოვება.

ბაჭონო გოჩა,

-როგორ მიმდინარეობს თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები?

გოჩა კურდღელია: მოხარული ვარ, რომ ჩვენი გუნდის ძალისხმევით და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, გამოინახა სახსრები ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობის კაპიტალური რემონტისთვის. ეს ძალზე მტკივნეული თემა იყო ჩვენთვის. პროექტი სარდაფის, სახურავის, სამსახიობო და საგრიმიორო ოთახების, ფასადის, ვენტილაციისა და გაგრილების სისტემის მონტაჟის და სხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „იმედი“ ასრულებს და იგი 2020 წლის გაზაფხულზე უნდა დასრულდეს. ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასი დროებით, სახელოვნებო ცენტრის დარბაზში მართავს სპექტაკლებს.

ბაჭონო გოჩა,

-წლებია ვერ გადაწყდა პალიასტომზე თევზჭერის საუკუნოვანი პრობლემა

გოჩა კურდღელია: როგორც მოგეხსენებათ, კოლხეთის დაბლობი მოიცავს ჭარბტენიან ტერიტორიებს (ტბები, ჭაობები და სხვა). ნაკრძალების დაცვის საკითხებს არაერთი საერთაშორისო ნორმა და ეროვნული კანონმდებლობა იცავს, მათ შორის, რამსარის კონვენცია.

კონვენცია პირველი გლობალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც მთლიანად ეძღვნება ერთი ტიპის ეკოსისტემას. საქართველო რამსარის კონვენციას შეუერთდა 1996 წელს.

თევზაობაზე დაწესებულ რეგულაციებთან დაკავშირებით უკმაყოფილო მეთევზეებს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობაში კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად შევხვდით, რომლებიც პალიასტომსა და მდინარეებზე თევზაობის შეზღუდვებს აპროტესტებენ.

ფოთში ნადირობით და თევზაობით ძალიან ბევრი ადამიანი არის დაკავებული. აღნიშნული სფეროს განვითარება ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

პარკის ადმინისტრაციამ აღნიშნულ საკითხზე ერთობლივი მუშაობის სურვილი გამოთქვა. დარწმუნებული ვარ ეტაპობრივად შევძლებთ პრობლემების გადაწყვეტას.

ბაჭონო გოჩა,

-რა კეთდება ქალაქში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით?

გოჩა კურდღელია:მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ახორციელებს 23 სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას. მათ შორისაა: განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება, მარტოხელა დედათა დახმარება, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება. უსინათლოების მატერიალური დახმარება-კომუნალური გადასახადების დაფინანსება და წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა. ახალშობილთა ოჯახების დახმარება; მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება;დამატებით ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება; ..მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა; მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტთათვის ძვირადღირებული მედიკამენტებით დახმარების პროგრამის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამა და ა.შ. ყველა ამ პროგრამით ქალაქში 3000-ზე მეტი მოქალაქე სარგებლოს ყოველწლიურად.

ბოლო პერიოდის ყველაზე აქტუალურ სოციალურ პრობლემად იქცა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ, 2019 წლის 14 თებერვალს, შპს „შპს ,,ქალაქ ფოთის გაერთიანებულ სამშობიარო სახლი“-სთვის პერინატურული რეგიონალიზაციის დონის შეჩერება. ქალაქში რთული ვითარება შეიქმნა, რამდენადაც ეს გახლავთ ერთადერთი სამშობიარო სახლი, რომელიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ქალაქი დარჩა სამეანო და ნეონატრული მომსახურების გარეშე. საფრთხეებიდან გამომდინარე ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყეთ რეაგირება, წერილობით მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, მათი მხარდაჭერით გადაუდებელი დახმარების ბრიგადები 24 საათიან რეჟიმში არიან მზად ემსახურონ მშობიარეებს და გადაიყვანონ ისინი უახლოეს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

პარალელურად, ვაწარმოებთ აქტიურ მოლაპარაკებებს კერძო სამედიცინო კომპანიებთან. ჩვენი კომპეტენციის ფარგებში მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ყველა დაინტერესებულ კომპანიას აწარმოოს აღნიშნული საქმიანობა ქალაქში. კეთდება მაქსიმალური, რათა უახლოეს მომავალში, ფოთში შესაბამისი სტანდარტების სამშობიარო ამოქმედდეს.

ბაჭონო გოჩა,

-როგორც ჩანს ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ უმთავრესი პრობლემა ადამიანთა დასაქმებაა, რათა არ დატოვონ ქალაქი.

წელიწად ნახევარი ალბათ არ არის საკმარისი ყველა დანაპირების შესასრულებლად, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ფოთი ფაზისი უძველესი ლეგენდების ქალაქი იქცეს ევროპული ტიპის ქალაქად. ფოთი როგორც თვითმმართველი ქალაქი თავისი საუკუნოვანი ტრადიციებით უნდა იქცეს შედეგზე ორიენტირებული და პოლიტიკური კონსესუსის მაგალითის მიმცემი ქვეყნის მასშტაბით, რამეთუ იგი ყველა პარტიის ინტერესზე მაღლა დგას, რადგან ქალაქი ერთია თავისი სიხარულითა და სატკივარით.

სანავსადგურო ინფრასტრუქტურის განვითარება გვაძლევს შანს ქალაქის სივრცითი დაგეგმარება, საავტომობილო გზების და სარკინიგზო ხაზების ინფრასტრუქტურა განვავითაროთ ისე,რომ ქალაქი უფრო მეტად დაუკავშირდეს ზღვას. ზღვა ჩვენი სიმდიდრეა და უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ ღვთის ეს საჩუქარი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქის, ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

ფოთელთა მოლოდინი იცხოვრონ ადამიანურად, ქონდეთ სამუშაო და მომავლის იმედი, უნდა გავამართლოთ!

გმადლობთ ინტერვიუსათვის.

გისურვებთ წარმატებას!

ზურაბ აბრალავა

პოლიტიკა

საქართველო ეროვნულ რელსებზე უნდა გადავიდეს და ბიძინა ივანიშვილიც უნდა მოეშვას დემოკრატიის გამო მისი და ხალხის მტრების შემწყნარებლობას შინ თუ გარეთ.

ვის ყავს გვარამია საგინებელი დედა, ან ვინ დგას ამ ვითომ გამბედავი კაცის უკან?

საქართველო ბოლო დღეებია ამაზრზენი სატელევიზიო შოუების მოწმეა. ,,რუსთავი 2", ეს ვითომ დამოუკიდებელი პარტიული ტელევიზია, ვითომ ხალხის ყოფით შეწუხებული დედების გინებაზე გადავიდა. მართლაც დიდი გამოწვევა თუ შეურაცყოფაა. ნახეთ რა მაგარი ბიჭი ვარ? ივანიშვილს დედაზე ვაგინებ და ხმას ვერ იღებსო. საინტერესოა საკაშვილის გინებას კი არა ოდნავ გაკრიტიკებას თუ გაბედავდა ნიკა გვარამია, ან ამ დამოუკიდებელ ტელევიზიას ცხრაწლიანი რეჟიმის დროს ერთი აუგი თუ დასცდენია ახალგაზრდების ჩახოცვის, ბიზნესის რეკეტის, ციხეში შეურაცყოფილი ადამიანიების გამო. ძნელი მისახვედრი არ არის ამ გამოწვევის უკან ვინც დგას - ტელევიზია პოლიტიკური პროცესების მონაწილეა, ნეოლიბერალური პოზიციის გამტარებელი, უფრო სწორად, - დემოკრატიულ სახელს ამოფარებულები, ლიბერალური ტერორის სპეციალისტები. ხელისუფლებამ დასკვნა უნდა გააკეთოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, ლგბტ ღირებულებები, თუ ქვეყნის გადარჩენა. ზნეობრივ - მორალური პრინციპების დაცვა, თუ „ჩაგრული" ლგბტ უმცირესობის მხარდაჭერა, რომელიც ქვეყნის ნგრევისათვის არის ინსპირირებული თუ შემოგდებული და აღნიშნული მედიაც ამ ძალებისგან იმართება. ყველაფერი კეთდება სააკაშვილის ფენომენის გააქტიურებისათვის, რისთვისაც აუცილებელია ქვეყნის კატასტროფული ვითარების დახატვა ,, რაც საბოლაოდ განაპირობებს შიდა თუ გარე მტრების განზრახვის რეალიზაციას - დაეპატრონონ ქვეყანას და თავის ჭკუაზე მართონ იგი, სამწუხაროდ, უმუშევრობის, სიღატაკის სოციალური ფონი კარგ ნიადაგს ქმნის ამისთვის. ქვეყნის ნგრევას ემსახურება ასევე ნარკომანიის, პროსტიტუციის თავისუფლების, ბინძური სიტყვის თავისუფლების პროპაგანდა. გინება და შეურაცყოფა დასჯადი არ უნდა გახდესო, არადა, არავინ იცის სანამდე მიგვიყვანს სიტყვით მკვლელობა, ღვთის გმობა. სწორედ, ესაა აპოკალიფსი და სულიერი, ზნეობრივი სიბნელე. ადამიანების ინსტიქტამდე დაცემა.

მედიას განსაზღვრული ამოცანები აქვს, ემსახუროს ქვეყანას, ხალხს და არა ხელისუფლებას, ან რომელიმე პარტიას. ინფორმაციის გავრცელების სახელმწიფოებრიობა არ შეიძლება იყოს ზღვარგადასული ფსიქოლოგიის ადამიანების ხელში. რა აქვს საამაყო იმ ტელევიზიას დედისგინებით რომ იწყებს გადაცემებს და ყველა მხრიდან მოდის ბილწსიტყვაობის, ცინიზმის, კაცთმოძულეობის ნიაღვარი. თუმცა, რა გასაკვირია, იმ კაცისგან დედის გინება, რომლის პროკურორობის დროსაც ათასი უბედურება დატრიალდა ქვეყანაში, ისეთი - ფაშისტებსაც რომ არ მოუიდოდათ აზრად.

გიჩნდება კითხვა - ამ კაცს დედა ყავს? ან რატომ ჰგონია, რომ ამ უღირსი საქციელის გამო მის დედასაც არ ახსენებენ ხშირად. თუმცა, საქმე დედის გინებაში როდია. ეს უხამსობა, თავხედობა, საზოგადოების აგდება გლობალური პროცესების ნაწილია და ქვეყნისთვის საშიშია, როგორც ზნეობრივი დეგრადაციის დასაწყისი.

დემოკრატიული საბურველის გამო ტელევიზია ხელშეუხებელი გახდა. - დემოკრატიას ებრძვიან! და ხალხიც მზადაა დაიცვას ეს ტელევიზია, რომელსაც უნდა ასამართლებდეს 9 წლიანი ძალადობრივი რეჟიმის მხარდაჭერის გამო, როგორც ცნობილია „ნაცისტებმა" მოახერხეს ამ პატარა ქვეყნიდან 30 მილიარდის და ამდენივე ქონების დატაცება. ამ პატარა ქვეყანას მილიონამდე პრობაციონერი ჰყავდა. და ამ ნაძარცვი ფულით არსებობს ეს ტელევიზია და ,,სწორი" გადაწყვეტილებაა მისი შენარჩუნება- ის დიდი იარადია ისევ „ნაცისტების" პოლიტიკის გასატარებლად და ქვეყნის დასანგრევად. ისინი სამივე მიმართულებით უტევენ საქართველოს - ენა მამული სარწმუნოება. ხელისუფლება კი წინააღმდეგობის გაწევას ვერ ბედავს, აქეთ ხალხის ეშინია, იქეთ დასავლეთის. საბოლაოდ გამოდის ყველა დასავლეთის დავალებას ვასრულებთ. ოდესმე უნდა გამოვფიზლდეთ. მოკლედ, ვერც დასავლეთს აწყენინებ, ვერც-ამერიკას, აქეთ რუსეთი მოგსდევს. გამოდის - ქვეყანაც და ხალხიც გლობალურ პოლიტიკას ეწირება.

ძია სემის მხარდაჭერით ლამის ყველას გადაუაროს გვარამიამ. მისი გინებით პოლიტიკა კეთდება.ხომ ხედავთ - მშიშარა ხელისუფლება გყავთ და ჩემს დაჭერას ვერ ბედავენ, გაბედავენ და მიიღებენ რევოლუციას - ხალხი ქუჩაში გამოვა თავისუფალი სიტყვის დასაცავად. აი, სამწუხაროდ, რა აბსურდულ სიტუაციაშია ქვეყანა და რაში იკარგება დრო და რესურსი, აი, თავსატეხი, თითქოს სხვა არაფერი ჭირდეს ამ ქვეყანაზე ბინძური სიტყვის თავისუფლებისა და ვიღაცეების პოხონდრიების გარდა. იყავით თავისუფალი! ასემც გიქნიათ დედის გინება კი არა დედაც შეგირთავთ, კაცი კაცს კი არა მხეცს გაყოლია, (თქვენგან ყველაფერია მოსალოდნელი). იმ მარიხუანათი გაგბრუებოდეთ თავი, ბუშტივით გაბერილ ეკლესიებში გელოცოთ და ისე აცდენოდეთ რეალობას-ეკლესიას კი არა სახლს რომ ვერ აგნებდეთ. რამ შეგაძულათ ასე სამშობლო, ქვეყანა, ტრადიციები, კაცობა. დედა ღვთისმშობელია,ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. ჩვენი დედები ხომ ცოცხალი ღმერთებია. აი, ამიტომაც გვაღელვებს დედის გაუფასურება. ეს მარტო დედის გინება არაა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ - იგი სამარცხვინო გამოწვევაა და ხალხი უნდა მიხვდეს ამას. ამიტომაც მივუძღვენი სტატია. ამ სიტუაციას. იქნებ, ამათ დედაზე დაწერა დიდმა ვაჟამ: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა", მტერი არაა მეტი.

ეროვნული ძალები, ხალხის მიერ მხარდაჭერილი პარტიები უნდა გაერთიანდნენ და ბიძინა ივანიშვილიც ხალხის და სამართლიანობის მხარეს უნდა დადგეს, სხვა გზა გადარჩენისა არ არსებობს.

ზ. აბრალავა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება

საქართველოს გზა არის ქრისტეს გზა-გზა ჯვარცმისა და აღდგომისა

,,დიდთა ხეთა მოერევის,
მცირე დასწვავს ნაპერწკალი"



,,ვის წყალობა ზეცის თან სდევს,
მსხვერპლის არ დარიღებით,
ის აღდგომის შარავანდედს
შეიმოსავს დიდებით"...

ზ.გამსახურდია

2 მაისს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, ნიკა გრიგოლიას- (კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი), გიგლა ბახტაძის-(სპორტის სამსახურის უფროსი) ნინო პაჭკორიას - (სახელოვნებო ცენტრის დირექტორი) და გიგლა თურქიას (ფოლკლორის ცენტრის მენეჯერი) მიერ ჩატარდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის **ზვიად გამსახურდიას** 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო - მხატვრულ-დოკუმენტური ქრონიკები. წაკითხული იქნა საინტერესო და უცნობი ისტორიები საქართველოს ეროვნული გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ა(ა)იპ „სახელოვნებო ცენტრის" ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები. (ანსამბლი ,,ფაზისი" -იროდი ტიკარაძე, ქალთა ტრიო -ნალიტა ამირანაშვილი, ჟანა წულაია, ფერიდე კალანდია). ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფაზისი" -ა. ამბალია, დ. სილაგავა, მ. ბახბავა), ანსამბლი ,,ლაზიკა"(გ. თურქია, შ. ჩავლიანი, ლ.ჩავლიანი. ცეკვა ქართული შეასრულეს სალომე კაკულიამ და საბა როხვაძემ. საღამოს ზვიად გამსახურდიას ლექსზე კომპოზიტორ ლეილა ლოლუას მიერ შექმნილი სიმღერა ეფექტურად შეასრულა ფოთის საპატიო მოქალაქემ ნანი გუგუშვილმა. საღამოს მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნინო პაჭკორიას მიერ შესრულებულმა სიმღერამ საქართველოზე.

სცენარის ავტორები - შორენა სარსანია, მაიკო ტიკარაძე და ფოლკლორის ცენტრის კოლექტივი.

„ზვიად გამსახურდია ეს საქართველოს უახლესი ისტორიაა. მისი ბიოგრაფიის გამიჯვნა სახელმწიფო ისტორიისგან და ცალკე შესწავლა-შეფასება შეუძლებელია. ზვიად გამსახურდიას განვლილი გზა ეს საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის საძირკველია. დარწმუნებული ვარ დრო და მეცნიერები შესაბამის შეფასებას მისცემენ მის მოღვაწეობას. სათანადოდ დაფასდება და უკვდავყოფილი იქნება მისი სახელი"– განაცხადა თავის სიტყვაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა **გოჩა კურღელიამ**.

ასევე სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები - მწერალი **ლაშა გვასალია** და უზენაესი საბჭოს დეპუტატი **ავთანდილ რცხილაძე**.

ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს დაიბადა. ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1990 წლის 14 ნოემბერს გამართულ პირველ სესიაზე, ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია თავმჯდომარედ აირჩია. იმავე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქვეყანას „საქართველოს რესპუბლიკა" უწოდეს და აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა - დროშა, გერბი და ჰიმნი. მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ თითქმის ერთხმად აირჩია **ზვიად გამსახურდია** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

საქართველოს ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1991 წლის 26 მაისს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 82,62 % -მა, აქედან ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა 86, 41 % ამომრჩეველმა, არც ერთ საარჩევნო ოლქში მას არ მიუღია 52,22% ნაკლები ხმა, მათ შორის არც არაქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე.

ზვიად გამსახურდიას ესოდენ დიდმა წარმატებამ კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

ამერიკელი კონგრესმენის მაკივენის წინადადებით ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევისა და საქართველოს პარლამენტის მიერ დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად კაპიტოლიუმის თავზე აღიმართა ქართული დროშა.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული სახალხო მკურნალი (ასე უწოდებდნენ მას ფოთელები) თენგიზ ნესტორის ძე ბარამიძე ბავშვობიდანვე გამსახურდიების ოჯახთან სიახლოვემ თავისთავად ჩააყენა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რიგებში.

უკვე ცნობილი ექიმი, შეუბღალავი ავტორიტეტის წყალობით, ფოთელებმა ის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. თენგიზ ბარამიძეს წილად ხვდა პატივი ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენილ აქტზე -1991 წლის 9 აპრილს. შემდგომში იგი დაინიშნა ფოთის პრეფექტად - მის მოადგილეებად კი როსტევან გვარამია და გიგლა ბახტაძე. ფოთელები აგრეთვე დიდი სიამაყით ვიხსენებთ იმ დღეებს, როცა ავირჩიეთ ადგილობრივი საკრებულო, რომელმაც მის თავმჯდომარედ აირჩია თამაზ პაჭკორია. ასევე სიამაყით ვიხსენებთ ფოთში 1991 წლის 15 აგვისტოს ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატს წყალსათხილამურო სპორტში, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

გამსახურდიებისა და ბარამიძეების ოჯახების ძმური ურთიერთობის შესახებ ნესტორ ბარამიძე იგონებს: /1921წ/ სრულიად ახალგაზრდა 17 წლის ბიჭი დამაპატიმრეს საკმაოდ მაწამეს, მაგრამ არავინ გამიცია. გარკვეული დროის შემდეგ გამათავისუფლეს. ციხიდან ახალგამოსული ბორჯომში ჩავედი, იქ ჩემი ძმა ცხოვრობდა. ბორჯომის სადგურზე ვსეირნობდი, მეცვა უძირო ჩექმა, ქეჩის სამხედრო პალტო, წვერი არ მქონდა გაპარსული. ერთმა კაცმა რამდენჯერმე ამიარ-ჩამიარა. მოვიდა, მომესალმა, მერე მკითხა-ახალგაზრდავ თუ არ ვცდები, ციხიდან ხომ არ ხარ გამოშვებული. დიახ, ციხიდან მეთქი-ვუპასუხე, გეტყობათ-მე დავინტერესდი მისი ვინაობით და მწერალი კონსტანტინე გამსახურდია აღმოჩნდა. წაღვერში წასვლა შემომთავაზა, ფული არ მქონდა, თავისი ხარჯით წამიყვანა შემდეგ პიჯაკი, შარვალი და ფეხსაცმელი მიყიდა და თბილისში ჩამომიყვანა ჯაფარიძის ქუჩაზე. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც მთელი ცხოვრება გაგრძელდა.

...ჩემი უფროსი ბიჭი თეზო თბილისში სწავლისას კონსტანტინესთან ცხოვრობდა. ზვიადს და თეზოს ერთი ოთახი გამოუყვეს ცალკე, როგორც ღვიძლი ძმები ისე იყვნენ ერთმანეთთან.თამრიკო ყოველ არდადეგებზე ჩამოდიოდა ჩვენთან. ჩვენი მეგობრობა შვილებზეც გადავიდა. კოწიამ ჩემს ქალიშვილს შეურჩია სახელი - მირანდა, რომელიც ზვიადიმ და ქალბატონმა მირანდამ მონათლეს. დღესაც გრძელდება მათი ურთიერთობა ზვიადის უფროსი შვილი კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია ფოთში ბარამიძეების ოჯახის ხშირი სტუმარია.

აქვე გთავაზობთ ზვიად გამსახურდიას მიერ გამოგზავნლ ნაწყვეტს წერილიდან, თენგიზ ბარამიძისადმი.

„ჩემო თეზო! მიხარია, რომ მტკიცედ და ყოჩაღად დგახარ, სხვაგვარად არც ეკადრება მამაშენის შვილს. ახლა ფოთს დიდი ამოცანები აქვს, ჩემს შეხედულებებს გადმოგცემს ემზარი. (საუბარია თეზო ბარამიძის ძმაზე) სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ფოთში შტაბი ფრონტის მომარაგების: საწვავით, სურსათით და ფინანსებით. საქართველოს ბედი აფხაზეთის ფრონტზე წყდება. ყველას გადაეცი ჩემგან ახლა კინკლაობის და ურთიერთშუღლის დრო არ არის, ახლა გვიხსნის ერთობა.

...მოკითხვა ნესტორ ბიძიას, ამ შეუდრეკელ ბერმუხას, დეიდა თამარს, ყველა ჩვენიანებს. ფოთი დღეს თავისუფლების კარიბჭეა"-

ძმური სალმით- ზვიად გამსახურდია -საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

„შენი ბარძიმია წმინდა ივერია
მისი განმართლება შენს ცაზე სწერია"

ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვები „ვედრება უფლისადმი" სიმღერად აქცია, ფოთის საპატიო მოქალაქემ, კომპოზიტორმა **ლეილა ლოლუამ**.

სიმღერა კი შეასრულა პედაგოგმა, მომღერალმა, ფოთის საპატიო მოქალაქემ - **ნანი გუგუშვილმა**.

ასევე ფოთელების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას პოეზიის საღამო პირველად ჩატარდა ჩვენს ქალაქში.

2019 წელი საიუბილეოა ზვიადის ქრისტესმიერი ძმის მერაბ კოსტავასი.

მერაბ კოსტავას,როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, მას იცნობენ, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს, თეტრალურ კრიტიკოსს, პოეტსა და ესსეისტს.

მერაბი 1939 წლის 26 მაისს დაიბადა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის-ვლადიმერ დემურიას ოჯახში. მისი დედ-მამა ივანე ქრისტეფორეს ძე კოსტავა და ოლღა ვლადიმერის ასული დემურია ---განათლებული, კულტურული, მოსიყვარულე, გულისხმიერი და მზრუნველი მშობლები იყვნენ, მერაბის პიროვნების ჩამოყალიბებაში ბაბუასა და მშობლებთან ერთად დიდი როლი შეასრულა მისმა ბიძამ - ცნობილმა მსახიობმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა გრიგოლ კოსტავამ.

დღეს ჩვენ შევეხებით მათ როგორც ორ სხეულში განფენილ ერთ სულს,რომელსაც კვებავდა ერთის მხრივ ძირძველ ოჯახებში შენახული ქრისტიანული სათნოებანი და სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარული, მეორეს მხრივ კი „ვეფხისტყაოსნის" რაინდულ-არისტოკრატიული ღირებულებები. მაგონდება მერაბის ნათქვამი, რომელიც მას უნივერსიტეტში წარმოუთქვამს: „ ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება,მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი ქვეყნის დანგრევას უდრის" იგონებს ოლღა დემურია - კოსტავა. მამულიშვილნო!!! მეგობრებო!!! ასეთი მქუხარე ინტიმით ამ სიტყვებს ვერავინ ამბობდა, ამიტომაც უწოდებდა ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავას „ძე ქარიშლისას".

ზვიად გამსახურდიას ცხოვრება იყო კეთილისა და ბოროტის მარადიული დაპირისპირების მატერიალური განსხეულება.შეიძლება ამიტომაც აირჩია იგავ - არაკის ჟანრი, რომლის საშუალებითაც იმ დროისათვის ყველაზე თამამად და თავისუფლად შეეძლო გადმოეცა საკუთარი შეხედულებები და იდეალები- სიკეთისათვის დაუღალავი ბრძოლა, ხერხით, გონებით, ღონითა თუ ღვთის შიშით და სიკეთით ბოროტებაზე გამარჯვება.

ზვიად გამსახურდიას თარგმანით გაეცნო ქართველი მკითხველი შარლ ბოდლერის ლექსებს პროზად, ლეონარდ კოტრელის ნაშრომს „ანტიკურობის საოცრებანი"და კიდევ არაერთ სხვა საინტერესო ტექსტს. მათ შორის: კარლ სენბერგის, რობერტ ფროსტის, ედვინ ემირსონის, ტომას სტერნზ ელიოტის , ბიში შელლის პოეზიას, ოსკარ უაილდის ზღაპრებს, შექსპირის „ჰენრი მე-5"-ს ზვიად გამსახურდიამ რუსულ ენაზე თარგმნა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

გაზაფხულობით ფრანკფურტის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (IGFM) კონფერენციას ატარებს გერმანიის სექციის ხელმძღვანელის -ვანდა ვანზიდლერის მიწვევით.

2002 წელს გერმანიის ქალაქ კენიგშტაინში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატები კონფერენციის შემდეგ ყავითა და ჭიქა ღვინით აღჭურვილებს ქალბატონმა ვანდამ ქართველებს მოგვმართა: -იცით, რომ ხალხებს ასწლეულებში ერთხელ ეძლევათ თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა! ქართველებს ღმერთმა თავისუფლების ჩირადღანი გამოგიგზავნათ ზვიად გამსახურდიას სახით და მერე რა ჰქნინთ? ქართველებმა სული შეუბერეს და ჩააქრეს ეს ჩირადღანი! დღეს აქ ჩამოსულები ხშირად ახსენებდნენ ასეთ სიტყვებს: საქართველო გაბრწყინდებაო... პირდაპირ გასაკვირია, რით ვერ გაიგეს ამ ადამიანებმა, რომ საქართველო უკვე გაბრწყინდა! ახალ საუკუნეში რუკაზე საკუთარი ფერი მოიპოვა! იცით, რომ ეს არავის აწყობდა! ამას ზვიად გამსახურდიას უნდა უმადლოდეთ! მან ამისთვის გაწირა თავი!

ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ ქალბატონმა ვანდამ რაღაცნაირი ჩავარდნილი ხმით განაგრძო სათქმელი:

-იცით, რა გადაგარჩენდათ თქვენ, თქვენს პრეზიდენტს და ათასობით დახოცილ ქართველს? იგივე, რამაც სახელმწიფო გადაურჩინა ბალტიისპირეთს. ისინი ჩრდილოეთის ყინულიან დამეებს ქუჩაში ატარებდნენ, ექვს თვეზე მეტ ხანს უწყვეტი საპროტესტო მიტინგი ჰქონდათ. მსოფლიო წესრიგი ხალხის მოთხოვნის შესაბამისად ყალიბდება. მსოფლიომ ისმინა ამ ხალხის. რა იქნებოდა ქართველებსაც მიგებაძათ მათთვის... რატომ არა? რატომ?...

დასასრულს, წაკითხულ იქნა ალეკო ღოლბაიას ლექსი.

მარაბდა

ერთიანული გმირებს –
ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას

სამიოდ ვნიდან უცხო ლანდი ამოსამარდა,–
შეღამემისას მზე რომ იყო ცაზე ჩენილი.
მწუხარე სედით იმოსენმა ბეღელი მარაბდა
ჯარდუს დროინდელ ცხენთა ფლოქვით
გადათელილი ...
და ამის შემდეგ სეგდიანი მეცად დრო გავა,–
სისხლით, წვალებით, მოღალატის ჯვალით
ნაბრახი,
ვაჰმე, მიჭოო,–დაიძახა მერამ ჯოსტავამ
და ზვიადის ცხენს შემოარტყა თურმე
მათრახი...

განა ყოველთვის გვიღიმის ბედი

განა ყოველთვის გვიღიმის მზედი,
განა ყოველთვის გულს უხარია,
არ იკარგება მაინც იმედი
წინ! –მოგვიწოდებს წმინდა მარია.
და თუ გაისმის მაინც გოდება,
გულში ხალისი ვერ ისადგურებს,
გაზათეხული ხომ წინ გველოდება,
ქრისტეს სისხლი ხომ, მადლად
გვარგუნებს.
და რომ არა რაის მაინც საშველი,
ხატის წინაშე მშვიდად ვილოცოთ
გაგიგონიათ ეშმას ნაშვილი
კრძალვით რომ სული გადავულოცოთ.

დავით ჩირგაძე

საუკუნის მემორანდუმი:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია-ფოთის მერია

მეცნიერება ჩაერთვება ფოთის ეკონომიკური და საზღვაო დარგების პრობლემების გადაწყვეტაში

საზღვაო ქალაქის მომავლისათვის ზრუნვა, მისი გეოპოლიტიკური ფუნქციის გამოყენება ქვეყნის და ქალაქის სასარგებლოდ, ადგილობრივი ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა. ქალაქი თავისი ისტორიულ-ფუნქციური დატვირთვის და სტრატეგიული მდებარეობის გამო ახალი გამოწვევების წინაშე დგას და აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ქალაქის პრობლემატიკაში ჩართულობის უზრუნველყოფა- იმის გათვალისწინებით რომ ფოთი კვლავ რჩება ევრაზიის უმნიშვნელოვანეს გზაგამტარ პუნქტადფორფოსტად.

ქალაქი აერთიანებს თაობებს, ის როგორც მუდმივი მოცემულობაა, განსაზღვრავს მათს მოვალეობას, დამოკიდებულებას,სიყვარულს ამ მარადიული ფენომენისადმი. სასიხარულოა, რომ ყველა თაობის, პროფესიის სხვადასხვა დროს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები გამოთქვამენ მზადყოფნას კვლავაც ემსახურონ მარადიულ ქალაქს, თავიანთი ცოდნა, პროფესიული შესაძლებლობები მოახმარონ ფოთს. ეს სულისკვეთება ნათლად გამოიკვეთა თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და ფოთის მერიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმწერის ცერემონიაზე. ფოთის დელეგაციაში იყვნენ ქალაქის მერი გოჩა კურდღელია, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია,მერის მოადგილეები კოტე თოფურია, პაატა ლაგვილავა. მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი ინგა მასხულია, მერის თანაშემწე დათო ღადუა. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ანა კილასონია, ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე ომარ ხუხუნი.

ცერემონიალს ესწრებოდნენ თბილისელი ფოელები, ამ საზოგაოების თავმჯდომარის სპარტაკ გოგინავას ხელმძღვანელობით.

შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **გიორგი კვესიტაძე**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ფოთის, როგორც საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე ევრაზიის რეგიონულ სივრცეში და გამოთქვა მზადყოფნა, რათა აკადემიის სამეცნიერო პოტენციალი გამოყენებულ იქნას საპორტო ქალაქში განსახორციელებელი დიდი პროექტების მეცნიერულ დონეზე ექსპერტიზის თუ რეკომენდაციების შემუშავებაში.

ფოთის მომავალი საზღვაო და სხვა ტრადიციული დარგების განვითარებას და ამ სფეროში მეცნიერების მიღწევათა დანერგვას უკავშირდება -აღნიშნა თავის გამოსვლაში ფოთის მერმა **გოჩა კურდღელიამ**, მან ისაუბრა ახალ ღრმაწყლიანი პორტების მშენებლობაზე, სადაც 5 ათასი კაცი დასაქმდება, ასევე ისაუბრა ქალაქის მარადიულ პრობლემებზე, ზღვის ნაპირგამაგრებაზე, დაწყებულია პალიასტომის ეკოსისტემის აღდგენა, რიონის წყალგამყოფი ნაგებობის რეაბილიტაცია. ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი რესურსების გამოყენების აუცილებლობაზე - თევზრეწვა, ტორფმოპოვება და ა.შ. ტურისტული პოტენციალის ამაღლებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების, ახალი საკანალიზაციო სისტემის აშენების, ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის მიმდინარეობაზე. ქალაქი ზღვასთან ზურგით დგას, არადა, დიდი ნიკო ნიკოლაძის დაგეგმარება მართლაც უნიკალურია ამ თვალსაზრისით და ის უნდა აღვადგინოთ. მან მადლობა გადაუხადა მეცნიერებს მხარდაჭერის, ფოთის განვითარების პროგრამების გადაწყვეტაში ჩართულობისათვის მზადყოფნის გამო.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში **ირაკლი ხახუბია**, რომელმაც აღნიშნა,რომ ფოთს აარასდროს არ ჰქონია მთავრობისგან ასეთი მხარდაჭერა-300 მილიონიანი სხვადასხვა პროექტები ხორციელდება დღეს ქალაქში.

ბიზნესმენმა **ვანო ჩხარტიშვილმა** ისაუბრა ფოთში თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონის პერსპექტივაზე, ჩინელი ინვესტორების მზადყოფნაზე სხვადასხვა პროექტების, მათ შორის ფოთში თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა** ისაუბრა ფოთის ისტორიულ საგანმანათლებლო მისიაზე - ფაზისის აკადემიაზე, ახალი საგანმანათლებლო კერების შექმნის აუცილებლობაზე.

ნიკოლაძის ქალაქის პერსპექტივა საზღვაო დარგების (პორტები, გემთმშენებლობა, გემთშეკეთება და ა. შ.) აღორძინება-განვითარებას უკავშირდება - თქვა **პეტრე ბერაიამ** შეხვედრაზე. იგი საქართველოს საზღვაო კოდექსის თაობაზე ცნობილი წიგნის ავტორია და ფოთის განვითარების მეცნიერებასთან დაკავშირების ერთ-ერთი ინიციატორი ბატონ გიორგი კვესიტაძესთან და ბატონ გოჩა კურდღელიასთან ერთად.

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალზე ცნობილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ფოთის მკვიდრმა **გივი აბდუშელიშვილმა** აღნიშნა: დღევანდელი დღე არის გახედვა მომავლისაკენ, შორსმჭვრეტელური ხედვა. გისურვებთ წარმატებებს უკეთესი ხვალინდელი დღისათვის სწრაფვაში.

ფოთის უკეთეს მომავალზე, მის ეკონომიკურ-კულტურულ წინსვლაზე დიდი ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა და სჯეროდა, რომ ფოთი ოდესღაც ოდესასაც აჯობებდა, რომ მისი მომავალი ყინულზე არ იწერება.

წარსულის და თანამედროვეობის თანაარსებობა ყველგან იგრძნობა, თუმცა, თაობები მიდიან და მოდიან-ფოთი-ფაზისი კი რჩება, როგორც უცვლელი, მარადიული თავისი დიდი ისტორიით, ლეგენდებით, ტრადიციებითა და ხასიათით და გულით გინდა გჯეროდეს-არასდროს ჩაქრება ფაზისის კანდელი და ძველებურად შეეგებება უცხოურ გემებს ნაპირზე დარაჯად მდგარი ზღვის შუქურა, როგორც მარადიულობის სიმბოლო იმედების და ოცნებების ქალაქისა.

ზ. აბრალავა

ნოტრდამ დე პარი!!!

დიდება და მადლობა უფალს ყველაფრისათვის! იმისითვისაც რაც ჩვენ განსაცდელად მიგვაჩნია. ჩვენზე მოწევნული ყოველი, უფლის დაშვებით ხდება! ალბათ გვეყოფა გონიერება და კაცობრიობა არ დაუშვებს, ვიფიქროთ, რომ უფალი გვსჯის,მოვიკრიბოთ ღვთისაგან ბოძებული,ჩვენში დაგროვილი სიყვარულის მარაგი და რეალობას გავუსწოროთ თვალები და ჩვენც ვიყოთ სამართლიანები ერთხელ მაინც! ამის შემდგომ მივხვდებით, რომ კაცთმოყვარე უფალი, რომ გსჯიდეს ეს უფრო ადრეც მოხდებოდა ჩვენი და უფრო წინა თაობებისათვისაც! და ბევრად უფრო მკაცრადაც! ისეც, რომ სოდომსა და გომორს მოწევნული ნეტარებად მოგვეჩვენებოდა!!! ჩვენ კი სხვადასხვა ქვეყანაში უამრავჯერ გავიმეორეთ სოდომ-გომორის ცოდვანი და დამსახურებული სასჯელი უფლისა,რაც მაშინ დაუშვა უფალმა,არსად არასოდეს გაუმეორებია მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთს! ამის შემდგომად დღემდე კაცთა მოდგმას იშვიათი გამონაკლისის გარდა ღვთის გმობაზე უარი არ უთქვამს, პირიქით, თავადაც ჩავდივართ და სხვათაც მოვუწოდებთ, რომ უკეთესია,არა ისე,როგორც უფალს ნებავს,არამედ ისე,როგორც ჩვენი ხორციელი სიტკბოების შეგრძნებისათვის ჯობია! ჩვენც გვჯერა ეს და სხვათაც, თუ სიტყვიერი მოწოდებით არასამაგალითო საქციელებით ჩავჩიჩინებთ, რომ სტომაქის ამოყორვაა უმთავრესი იდეალი, რისთვისაც უნდა ვირჯებოდეთ თავდაუზოგავად!

ღვთისაგან ყველაზე აღმატებული დღესასწაულთაგან ყველაზე დიდი დღესასწაული საზეიმოთაგან ყველაზე საზეიმო დღის მოახლოების წინ, უფლისა, ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომამდე რამოდენიმე დღით ადრე პარიზში, რომ უფლის განსადიდებელი სახლის, თუნდაც არასრულიად ხანძრით განადგურება რომ დაუშვა უფალმა, თუ ფიქრობთ, რომელიმე როგორ ვატკინეთ უფალს, ყველა ჩვენთაგანზე უსაზღვროდ შეყვარებული გული, რომ დაუშვა ეს ხანძარი, რომელიც ვეღარ შეეხო და ავნო უფალს შენახებ სიწმინდეს, ჩვენი „მადლიერების" გამოხატვით მის ღვთაებრივ თავზე დადგმულ ეკლის გვირგვინს!!! როგორი მტკივნეული იქნებოდა უფლისთვის გვირგვინის.ლამის სრულად ემსხვერპლა ცეცხლს, ისე, რო-

გორც თვითონ არის პირველი მსხვერპლი ცოდვათა ჩვენთა გამოსასყიდად!!!

კაცთა მოდგმამ, რომ „შარლი ევდო" მიიჩნია ლამის ყველაზე დიდ ტრაგედიად,

რათქმაუნდა ტრაგიკული იყო და მსოფლიო დაირაზმა პარიზელების მხარდასაჭერად?! შეიძლება ამ ორი ტრაგიკული მოვლენის შედარებაც??? ახლა უფრო არ უნდა პარიზელებს (და მთელ კაცობრიობას) თანადგომა და გამხნევება?! მით უფრო ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოდან და ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანებისაგან???

ე. ღოლბაია

ქალაქის საჩუქარი
თამარ მეფის ხატი

ქალაქი არ არის განებივრებული მონუმენტების ხელოვნებით, დიდი მოზაიკური პანორამებით, რომელსაც ესთეთიკური მნიშვნელობის გარდა მორალურ-ზნეობრივი ფუნქციაც აქვს.

თამარ მეფის ქუჩის მიმდებარე შენობების ფასადზე თამარის სახის, ხატების დიდი მოზაიკურ პანოზე გადატანა დაამშვენებს აქაურობას და მნახველებს შეახსენებს ქართველობის ვალს-სამშობლოსადმი სიყვარულს, თავდადებას, ურთიერთგატანას, ანუ ყოველივე იმას, რაც დიდი მეფის ოქროს ხანაში იყო.

ფოთელ ხელოვანებს ასეთი პანოების მოწყობის დიდი გამოცდილება აქვთ, **ჯანო დანელიას** და **ბადრი ბახტაძის** ერთობლივი ნამუშევარი თამარ მეფის ხატი საჩუქრად გადაეცა საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს და ღირსეულ ადგილს იკავებს საეკლესიო-გალერეაში.

იმედია, იგი მონახავს თავის ადგილს ჩვენს ქალაქშიც.

სამაღლობელი მერიას
მალე პენსიონერთა კლუბი დაამშვენებს კუნძულის სანაპიროს

ფოთში კუნძულის უბნის ზღვის სანაპირო ზოლში პენსიონერთა კლუბის მშენებლობა ქვეყანაში ღია მმართველობის ერთი მაგალითია. ფოთის პენსიონერთა კავშირ „ბერბერას" ინიცირებით და ფოთის საკრებულოს სათათბიროსა და ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის მხარდაჭერით, ანუ ფართო საზოგადოებრივად მხარდაჭერილი პროექტი ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ მერის,გოჩა კურდღელიას აქტიური მხარდაჭერით შეიტანა კუნძულის უბნის საზღვაო-სანაპირო ზოლის დეტალური დაგეგმარების სამოქმედო გეგმაში და ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საუკი"-ის მიერ მაისის ბოლოსთვის პროექტი მზად იქნება და უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია აღნიშნული პროექტის აქტიურ ფაზაში გადასვლა.

სავარაუდოდ პროექტი, რომელიც მოიცავს საზღვაო ბულვარის სრულ რეაბილიტაციას და მრავალი სპორტული და საბავშვო ატრაქციონების მოწყობას, განხორციელდება ორ ეტაპად და პირველივე ეტაპზე საზღვაო ბულვარის გასწვრივ ასფალტის ფენის აღდგენის და მის მიმდებარედ პენსიონერთა კლუბის მშენებლობა განხორციელდება.

ფოთის პენსიონერთა კავშირი „ბერბერას" თავმჯდომარე ჯუმბერ კემულარია.

დიდი დღესასწაულები

5 მაისს კვირაცხოვლობა, უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძრის აღდგენისა და ქალაქის დღე აღინიშნა ფოთში

უფლის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში კვირაცხოვლობის საზეიმო წირვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა გრიგოლმა აღავლინა. წირვის დასასრულს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის, ფილოსოფიის ისტორიის, გერმანული ფილოსოფიის მკვლევარს ჰელმუნტ შნაიდერსა და შვედეთის სამეფოს ქალაქ ოსტამარის მერს იაკობ სპანგენბერგს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა. ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სკვერს დაძმობილებული ქალაქის–ოსტამარის სახელი მიენიჭა. ფოთსა და ოსტამარს შორის ურთიერთთანამშრომლობა 2007 წელს დაიწყო. ოსტამარის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ იაკობ სპანგენბერგის ძალისხმევით ფოთში არაერთი სოციალური პროექტი განხორციელდა. ქალაქს გადმოეცა სახანძრო მანქანა,ოსტამარში გადამზადნენ ფოთის სახანძრო- სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. 2014 წელს პროექტის „თვითმმართველობა მეტი დემოკრატია“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერთობლივად ჩაუტარდათ ტრენინგები ეფექტურ კომუნიკაციის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების თემაზე.

ფოთის ცენტრალურ პარკში მოწყობილ საგამოფენო სივრცეებში ადგილობრივი სასწავლებლების ნამუშევრები, ხელნაკეთი აქსესუარები, მხატვრობისა და ოქრომკერდით ნაქარგობის ნიმუშები იყო წარმოდგენილი. ქალაქი უბნებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით იყო გაფორმებული ნაბადის, კუნძულის, ცენტრისა და მალთაყვის საგამოფენო კუთხეები. უბნების წარმომადგენლებმა ქართული კერძები და ხალხური ფოლკლორის ნიმუშები წარმოადგინეს. ცენტრალურ პარკში მოეწყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინფორმაციო სტენდიც. აკადემიის

წარმომადგენლებმა საზოგადოებას სასწავლებლის ისტორია და სასწავლო პროგრამა წარმოადგინა. მსურველებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სანავიგაციო ხელსაწყოებს, საზღვაო აქსესუარებსა და ჰიდრო კოსტიუმებს. გამოფენების პარალელურად მიმდინარეობდა კონცერტი ბათუმის საზღვაო აკადემიის ბენდისა და ადგილობრივი ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლების მონაწილეობით.

ფოთელი ახალგაზრდები სასწავლებლად ევროპაში გაემგზავრებიან

“გააძლიერე ცვლილებებისთვის - ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდობის მონაწილეობისათვის”–პროექტში ჩართული ფოთელი ახალგაზრდები, კოალიციის ხელმძღვანელთან თამარ ფოფხაძესთან, ერთად ქალაქ ფოთის მერს გოჩა კურდღლიას და მერის მოადგილეს მამუკა პაპასკირს შეხვდნენ. გააცნეს პროექტის არსი და მიზნები.

პროექტის მონაწილეები ადგილობრივ და საერთაშორისო სატრენინგო კურსებს გაივლიან და გაემგზავრებიან სასწავლო ვიზიტით ესპანეთში, იტალიასა და ავსტრიაში. შესაბამისი უნარ-ჩვევების დაუფლების შემდეგ, მონაწილეებს საშუალება ექნებათ თავად დაგეგმონ და განახორციელონ სათემო პროგრამები.

შეგახსენებთ, რომ პროექტი “გააძლიერე ცვლილებებისთვის - ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდობის მონაწილეობისათვის” ხორციელდება “მშვიდობისა და განვითარების აკადემიის” მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ოთხ მუნიციპალიტეტში - ფოთში, ჩხოროწყუში, ახმეტასა და ბორჯომში. .

პროექტი დაფინანსებულია ევროპის კომისიის მიერ და მიზნად ისახავს ახალგაზრდების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებას.

ქალაქის მერმა წარმატებები უსურვა ახალგაზრდებს და მხარდაჭერა აღუთქვა მათ.

ფოთში საცურაო აუზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

ქალაქ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია მერის მოადგილეებთან-კონსტანტინე თოფურიასთან და მამუკა პაპასკირთან ერთად, ზერაგიას ქუჩაზე სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის სამშენებლო პროცესს გაეცნო.

სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტი, რომლის ღირებულება 14 500 000 ლარს შეადგენს, ითვალისწინებს ორი საცურაო აუზის, 350 ადამიანზე გათვლილი მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მშენებლობას, პარკირების სივრცის მოწყობას, ეზოს კეთილმოწყობას

და გამწვანებას.

სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობას კომპანია „ჩობრა Iნსტალაციონეს სერვიციოს, შ. . ბრანცჰ ეორგია “ აწარმოებს.

სამარადჟამო დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს

ფოთში ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი აღინიშნა

ფოთში ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი აღინიშნა. აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი იქნა გადახდილი. ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა და პაატა ლაგვილავამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ, ქალაქის საზოგადოებასთან და ვეტერანთა კავშირის წევრებთან ერთად დიდების მემორიალი და შინმოუსვლელი გმირების საფლავები გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. „9 მაისი ყველა იმ ადამიანის გამარჯვების დღეა, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოლა. ეს იმ გმირების დღეა, რომლებმაც თავი დადეს ამ ბრძოლაში და მათი, ვინც გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში. განსაკუთრებული მოწიწებით ვულოცავ ამ დღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე. ჩვენი ვალია, განსაკუთრებით ვიზრუნოთ მათზე, ყველა პირობა შევუქმნათ ღირსეული და დაფასებული ცხოვრებისთვის“-განაცხადა ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავამ. ქალაქის ხელმძღვანელმა პირებმა ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს უნგრეთის ომის მონაწილეს ნოდარ შენგელიას. ვეტერანებთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, გრიგოლ დარჯანიასა და ალექსანდრე ვაშალომიძის საფლავები ყვავილებით შეამკეს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას ინიციატივით, მეორე მსოფლიო ომის ვეტე-

რანებთან გათანაბრებული 30 პირი ფულად წახალისებას 250 ლარს მიიღებს. მეორე მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე 11 ათასი ფოთელი იბრძოდა. 2 ათასი შინ არ დაბრუნებულა.

კადრები საპორტო ქალაქის მომავლისათვის

ფოთში ბათუმის საზღვაო აკადემიის ფილიალი გაიხსნება

5 მაისს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელაიმ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის საგენტოს დირექტორმა თამარ იოსელიანმა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა ირაკლი შარაბიძემ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, ბათუმის საზღვაო აკადემიის ფილიალის დაარსების შესახებ, რომელიც ჰიდროტექნიკუმის ყოფილ შენობაში განთავსდება. ხელმოწერის ცერემონიალის დასრულების შემდეგ ოფიციალურმა პირებმა პიდროტექნიკუმის ყოფილი შენობა დაათვალიერეს.

ზღვისპირეთი და ახალი საავტომობილო გზა

ქალაქში ახალი საავტომობილო გზის სამშენებლო პროცესს ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ხახუბიასთან და მერის მოადგილეებთან ერთად გაეცნო.

ქალაქ ფოთში, ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში განხორციელდება 1744 მ. გზის და ეზოში შესასვლელების მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით.

სამუშაოებს, რომლის ღირებულება 826 000 ლარს შეადგენს, ტენდერ-

ში გამარჯვებული კომპანია „ ეV ღოად“ ახორციელებს და მიმდინარე წლის 1 ივნისს დასრულდება.

ბაზარში ახალი მაღაზია-უნივერსამი გაიხსნა

ყოველი ასეთი სიახლე ალამაზებს და კარგ ელფერს მატებს ქალაქს. აქ თანამედროვე მაღაზიის ყველა სერვისია დაცული- დიდი სივრცე და არჩევანი, მაღაზიაში ყველა სახის სასურსათო და დანიშნულების საქონელია მაღალი ხარისხითა და ხელმისაწვდომი ფასებით.

აუცილებლად ეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებით!

ზოგი ადამიანი კომეტას ემსგავსება: დიდხანს ვერ ძლებს, მაგრამ საზოგადოებაში ნათელ, სხივმოსილ კვალს ტოვებს.

სწორედ, ასეთ ფიქრს აღგვიძრავს უეცრად წასული ნუგზარ ბაბუაძის ტკივილიანი მოგონება. იგი მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თავანზე და ბევრი სული გაანათა, გაათბო, სამომავლო იმედი ჩაუსახა და წინ ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა.

ნუგზარ ბაბუაძე დაიბადა ქ. ფოთში, დაამთავრა ქ. ფოთის მე-5 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო და დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო ელექტრონიკის ინჟინრის სპეციალობით. 1974-1977 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია მართვის ავტომატიზირებული სისტემების დარგში და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გახსენება

ნუგზარ ბაბუაძის პორტრეტისათვის

მაძიებელმა მკვლევერმა და უცხოურ გამოცდილებას ნაზიარებმა ბატონმა ნუგზარმა შეიმუშავა და შვეიცარიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, პირველმა შექმნა საქართველოს საპატენტო და სალიცენზიო საქმეთა ცენტრი, რომლის გენერალური დირექტორი იყო. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციაში. (შტაბ-ბინა ჟენევაში) საქართველოს გასაწევრიანებლად. შემდეგ იგი გადაყავთ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის უფროსად. გამოცდილსა და ლიდერის თვისებებით შემკულს აწინაურებენ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მოადგილედ. სამინისტროს რეორგანიზაციის შემდგომ ნუგზარ ბაბუაძე გვევლინება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსად, სადაც მან ახლებური სული შთაბერა სამმართველოს საქმიანობას, ის ხომ წარმოშობით ფოთელი იყო, მან როგორც ზღვისპირელმა ადამიანმა, დიდი სამსახური გაუწია ფოთში მცხოვრებ გულგატეხილ მეთევზე-მეძღვაურებს, დღენიადაგ ზრუნავდა მათი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე.

1997-1999 წლებში ნუგზარ ბაბუაძე გადაყავთ უზბეკეთში საქართველოს საელჩოში-ატაშედ, სადაც მან სხვა წარმატებულ პროექტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „აბრეშუმის გზის"-ტრასეკას პროექტის განხორციელებაში.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუიორკის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი , სოციალურ-მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაინდთა დარბაზის „უბადლო რაინდი", საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირმშო ნ. ბაბუაძე თავის მშობლიურ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უბრუნდება. 2003 წელს, სადაც იღვწოდა სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში პროფესორის რანგში, რომელსაც მოგვიანებით სტუს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსობა დააკისრეს.

სწორედ, ამ პერიოდში გამოვლინდა ნ. ბაბუაძის ორგანიზატორული ნიჭი, რთული პრობლემების შემსწავლელი , საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის (მათ შორის ეკონომიკური დიპლომატიის) გამორჩეული მკვლევარი და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი თუ თანაავტორი გამოქვეყნებულა. აქვს მრავალი საეცნიერო ნაშრომი და არის ათამდე გამოგონების ავტორი, რომელთა უმრავლესობა ეფექტურად გამოიყენება რიგ სამრეწველო, საწარმოებში.

გამორჩეული და მკაფიო ინდივიდუალობით გამოირჩეოდა მისი აზროვნება, მისი დამოკიდებულება პრობლემატური საკითხების განხილვა-გაანალიზებისას, სტუდენტებთან, მაგისტრანტებთამნ თუ დოქტორანტებთან. კონსულტაცია - საუბრისას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მისი მისწრაფება ენების შესწავლისადმი. და ზოგადად ლინგვისტური მეცნიერებისადმი. მან ხომ რამდენიმე უცხოური ენა იცოდა და ბოლო წლეში შეისწავლა ჩინური ენა, რომლის მეშვეობით ბევრი ჩინელი მეგობარი გაიჩინა და ჩამოაყალიბა „ჩინეთის მეგობრების საზოგადოება", რომლის პრეზიდენტიც თვითონ იყო. ჩინეთის საელჩოში ის მიღებულ იყო, როგორც ცნობილი „სინოლოგი".

მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებზე გამოსვლისას მუდამ გამოირჩეოდა საინტერესო მიდგომებით, ორიგინალობით, შეიძლება ითქვას, ლამაზი საჭადრაკო ეტიუდების მომხმარებლობითაც.

უაღრესად კეთილშობილი პიროვნება გახლდათ. ყველა უყვარდა, ყველა ტავისიანად მიაჩნდა. მისმა სიკვდილმა კი მკაფიოდ გამოაჩინა-უფრო ძლიერ გვყვარებია ვიდრე ვფიქრობდით. გაცხადდა ერთი გერმანელის ნასიბრძნი: „ვინც რომ ჩვენ გვიყვარს, რომ არ კვდებოდეს, თვით სიყვარული მოკვდებოდა მაშინ!"

ნუგზარ ბაბუაძე ფრიად თავმდაბალი პიროვნება იყო, ამბიციურობასა და ყოყლოჩინობას მოკლებული, ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი დიდსულოვნება და მიმტევებლობა, გულისხმიერება და მადლმოსილება. ბრძენ სულხან-საბა-ორბელიანს აქვს ასეთი საგულისხმო განმარტება: „მადლი -ესე არს, რომელმან არცა ნაცვლისგებისათვის, არცა მოყუარებისათვის, არცა შიშისათვუს, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი საქმე ჰყოს!"

ნუგზარ ბაბუაძე მოვიდა თავისი სიკეთითა და სათნოებით, ოღონდ არსად არ წასულა- მისი ნათელი სახე და საქმე დარჩა, ჩვენში შეგუბდა, გულს გვიმზიანებს სამოქმედოდ, ახალ-ახალ სიკეთეთა ჩასადენად გვაქეზებს.

მეგობრები

პსპ - ჩემი ოჯახის აფთიაქი
როცა ყურადღება და ტკბილი სიტყვაც წამალივითაა

სიცოცხლეზე ძვირფასი არაეფი აქვს ადამიანს, თუმც, რაც არ უნდა გაუფრთხილდე, ავადმყოფობა მაინც გახსენებს თავს. რასაც არცთუ

იშვიათად ცხოვრების არასაკმარისი პირობებიც განაპირობებს, მოკლედ ექიმი და წამალი ჩვენი და ჩვენი ოჯახების იმედია. ვერ ვიტყვი, რომ სამედიცინო დარგში და მომსახურებაში პროგრესი არაა, მაგრამ უმუშევარ, უხელფასო ადამიანებს უჭირთ ოჯახის ექიმთან ვიზიტი და წამლების შეძენა, რომლის ფასები დოლართან ერთად მაღლა მიიწევს და სამედიცინო მომსახურების გარემოს სცილდება, ან თავად სცილდები, მაგრამ, როცა ძალიან გაგიჭირდება აფთიაქს მიადგები, იმედი გიჩნდება,

პროვიზორ გამყიდველების ჰუმანურობისა და პროფესიონალიზმის გამო, თითქოს ექიმის კაბინეტში ხარ და გულდასმით გისმენენ. გირჩევენ, ზოგჯერ თქვენს მომაბეზრებელ კითხვებს ამომწურავ პასუხს ცემენ, აშკარად იგრძნობა ყურადღება, თანაგრძნობა და, რაც მთავარია,-იმედი-ყველაფერი კარგად იქნება!

ამიტომ ხშირად ვარ პსპ-ს სტუმარი, რომელიც სამეგრელოს მოედანზე-ცოტნე დადიანის ხიდთან მდებარეობს. აქ უკმაყოფილო ადამიანი არ შემხვედრია და ეს პირველ რიგში მისი ხელმძღვანელის და კარგი სპეციალისტის, **ნინო ნანავა-გოგოლის** დამსახურებაა. აფთიაქი ყველა იმ თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს, რასაც კარგი სერვისით მიწოდება ქვია. (შეღავათები, ლატარია და სხვა) ყველა სააფთიაქო ატრიბუტი დაცულია, მხოლოდ

გამოარჩევთ მაღალი კვალიფიკაცია, პერსონალის პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, ახერხებენ ადამიანების გამხნევებას, განწყობის შექმნას, ამისთვის იმსახურებს განსაკუთრებულ სამადლობელს ფარმაცევტები **მაყვალა კირცხალია და მაკა ჩაგანავა**.

წარმატებებს ვუსურვებ ამ პატარა, მაგრამ დიდი ფუნქციის მატარებელ კოლექტივს, ადამიანებს რომელებმაც კარგად იციან, რომ ყურადღება და თბილი სიტყვაც წამალია და ყველაზე დიდი სიმდიდრეც ხომ ადამიანებს შორის ურთიერთობაა.

ნაჰო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



ცალყბად

ვინც ყასიდად მესალმება,
როგორა ხარ, რას შვრებით,
შენ ვერაფრით გაგახარებ
ვსვამ, ვჭამ და არ ვთვრე-
ბით?!

*****

ქება

შენ ვერ მიცან მაძაგებ,
მე კი გცემდი ქებით!
დავფიქრდი და ვაღიარებ,
რომ ორივე ვცდებით!

*****

არ მოგვწონს

ერთმანეთი არ მოგვწონს,
ამას კი ვგრძნობთ ორივე!
სხვას ეს არ ვაგრძნობინოთ,
ვივაჟკაცოთ თოლიგე.

*****

საჭიდაო

საჭიდაო არენაზე, როცა ძმები პაექრობს,
მაყურებელ დედის გული, ნეტა ამ დროს რას ფიქრობს?
გამარჯვებულს მიულოცოს? დამარცხებულს აცხვინოს?
მას ყაიმი ურჩევნია, რომ არავინ აკნინოს.

ბაზარში ფრინველების გასაყიდი ადგილც უნდა გაკეთდეს.

ბაზარში თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოთხოვნათა შესაბამისად ბევრი რამ კეთდება, თუმცა ბევრიც გასაკეთებელია. ფრინველების, გოჭების, კურდღლების და სხვათა გამყიდველები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათთვის ერთი გადახრული და მუდმივი ადგილი არ გამოჩნდა. იმედია, გაითვალისწინებენ ამ ადამიანების თხოვნას, ისინი ხომ ჩვენ გვემსახურებიან.

სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

სოფიკო აფხაზავა ევროპის ჩემპიონი გახდა

11 წლის ფოთელმა სპორტსმენმა სოფიკო აფხაზავამ მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე უშუ კუნგფუში, ოქროს მედალი მოიპოვა და საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

სოფიკო აფხაზავა მომავალ შეჯიბრს ჩინეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართავს, რომელიც მიმდინარე წლის 13 ივნისს ჩატარდება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ულოცავს სპორტსმენს მიღწეულ შედეგს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს.

17 წლამდე გოგონათა შორის ფოთის ხელბურთის გუნდი „ოქროს ვერძი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ჩემპიონატში მონაწილეობდა 9 გუნდი. ფოთელმა ხელბურთელებმა 24 მატჩიდან, 22 მოიგეს და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს გუნდის წევრებს და მწვრთნელებს- გელა ჟვანიას, თემურ ჭანტურიას და ქალბატონ დარეჯან გეფერიძეს მიღწეულ წარმატებას.

ინტელექტუალური თამაშების ფესტივალის გამარჯვებულები გამოვლინდა

რა? სად? როდის? და ერუდიტ-სექსტეტის ფორმატში გამარჯვება მოიპოვა ფოთის 1 საჯარო სკოლის გუნდმა...

ბრეინ-რინგის თამაშებში კი გამარჯვებულის სტატუსი მოიპოვა ფოთის 3 საჯარო სკოლის გუნდმა... ინტელექტუალური თამაშების ფესტივალის გამარჯვებული 1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა, მეორე ადგილზე გავიდა 15 საჯარო სკოლა, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა 3 საჯარო სკოლის გუნდმა...

ფესტივალის საუკეთესო მოთამაშის სტატუსი მოიპოვა გეგა კარანაძემ, ხოლო ჟიურის რჩეულ მოთამაშედ გიორგი სანიკიძე დასახელდა...

ფესტივალის გამარჯვებული 1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა ჟანრის ბესტსელერი წიგნების ნაკრები...

სოსო კონდრატეს ძე ხოფერია

გამოსათხოვარი



რუსეთის მეორე ქალაქში, სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა ფოთის „კოლხეთი 1913”-ის ვეტერანი ფეხბურთელი სოსო კონდრატეს ძე ხოფერია.

სოსო ხოფერია დაიბადა ქ. ფოთში, 1940 წლის 26 იანვარს. 1958 წელს დაამთავრა საქართველოს მეორე საშუალო სკოლა. მე-8 კლასში იყო როდესაც ფეხბურთში ვარჯიში დაიწყო ფეხბურთის სპორტულ სკოლაში, კარლო სერგიასთან. მიწვეული იყო საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში. 1958 წელს ფოთის „ვოდნიკის” შემადგენლობაში მიიწვიეს მწვრთნელებმა ღოღო ხოფერიამ და ბორის გოგინავამ.

1959 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ამიერ კაპარტის სამხედრო ოლქის გუნდში თამაშობდა.

ჯარიდან დემობილიზებული მეორე დღესვე უკვე კოლხიდას მაისურს ირგებს ტანზე და მის შემდეგ 1969 წლამდე მის ღირსებას იცავდა საკავშირო ჩემპიონატში.

გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფილიგრანული ტექნიკით და სათამაშო აზროვნებით. მას ფეხბურთის გულშემატკივრები სახელგანთქმულ არგენტინელ ფეხბურთელს, მადრიდის „რეალის” ცენტრალურ თავდამსხმელს ალფრედო დი სტეფანოს ადარებდნენ.

1969 წლიდან საფეხბურთო კარიერას ტოვებს და ფოთის გემთშენებელ ქარხანაში იწყებს მუშაობას. ამთავრებს საზღვაო ტექნიკუმს და საოკეანო თევზჭერის სამმართველოს გემებზე იწყებს მუშაობას, უფროსი მოტორისტის თანამდებობაზე. სადაც 1991 წლამდე შრომობდა.

ბოლო დროს რუსეთის მეორე ქალაქში, სანქტპეტერბურგში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მეუღლე ტატიანა ალანია ფოთელია. დარჩა ქალ-ვაჟი და 6 შვილიშვილი, ბატონი სოსო რეგულარულად სტუმრობდა თავის მშობლიურ ქალაქს, ახლობლებს, მეგობრებს და კავშირს არ წყვეტდა საქართველოსთან.

სოსო ხოფერიას სიკვდილმა დიდი ტკივილი დაგვიტოვა ყველას. ვწუხვართ რომ ვერ ვესწრებით დაკრძალვას და ამ მძიმე დღეებში ჩვენ უახლოესი ადამიანების გვერდით დგომას.

ვემშვიდობებით ჩვენს უსაყვარლეს ბიძიას-სოსო ხოფერიას, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და ნათელში ამყოფოს მისი სული.

ფოთელი უახლოესი ნათესავები

ჯუმბერ ჩარგაზიას ხსოვნას

დაბადების დღე უშენოდ-17 მაისს 72 წელი შეგისრულდებოდა

„დროს ყვლეა მიაქვს ძველი, ჩვენი კაცობის გარდა”...

ჯუმბერ ჩარგაზიამ ბოლომდე ატარა ფოთის ხასიათი და ტრადიციები-ჰუმანურობა, ტოლერანტობა, კაცობა, სტუმარ-მასპინძლობა, ამიტომაც უყვარდა ყველას ვინც მის გარშემო ცხოვრობდა და იღწვოდა-ახლობლები, მეზობლები, მეგობრები, საწარმოს დიდი კოლექტივი. იყო თავმდაბალი, მეგობრული, კომუნიკაბელური, ყველას ჭირის მოზიარე. ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანაში ბოლომდე იმუშავა ვიდრე არ შეწყვიტა მუშაობა ცნობილი მიზეზების გამო. გამორჩეული სპეციალისტი, მაღალი კლასის ოსტატი, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას-აქაური პროდუქცია ხომ მსოფლიო ბაზარზე გადიოდა. ეს იყო შრომის, წარმოების, პიროვნული დამკვიდრების საუკეთესო წლები. თავის რჩეულთან, რუსუდან კაკულიასთან ერთად შექმნა სანიმუშო ოჯახი, მათ ორი ღირსეული ვაჟკაცი გია და ზურიკო აღუზარდეს ქვეყანას, რძალი შორენა წულაია აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს. ბაბუასათვის ყველაზე დიდი სიხარული შვილიშვილი-პატარა ნინო-ჩარგაზია იყო, როგორ უნდოდა მის დიდ ქალობას მოსწრებოდა, მაგრამ არ დასცალდა-მხოლოდ შვიდი ათეული წელი იცოცხლა და სიკვდილიც მაშინ წამოწია, როცა უნდა დაესვენა, ეხარა თავისი ნაამაგარით.

ორი საუკუნის ქარტეხილებმა მისი ცხოვრების გზაზე გაიარა, იყო მოლოდინი, რომ ფეხზე დადგებოდა ქალაქი, ქვეყანა, ადამიანებს ექნებოდათ სამუშაო, ნორმალური ცხოვრების პირობები, მომავლის იმედი არასდროს ტოვებდა. უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს. მოთმინებით მიუყვებოდა ცხოვრების აღმართს,არ იყო ეს გზა იოლი. სიცოცხლის ბოლო წლები ნავსადგურში მუშაობდა და აქაც ისევე უყვარდათ, როგორც თავის მშობლიურ ჰიდრომექანიზაციის ქარხანაში, რომლის აღორძინებას ვერ მოესწრო. არ შეიძლება მადლობა არ უთხრათ თანამშრომლობისათვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის.

იცხოვრა ჩუმად და ჩუმად წავიდა, თუმცა, ხსოვნაში დარჩა სევდიანი მონატრება.

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულევველი”...

დაბადების დღეს გილოცავთ!

მეგობრები.

ზაირა ხოშტარია-ჭანტურიას ხსოვნას

ჩემი მეგობრის დედა

თქვენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ სულით ხორცამდე შეძრა თქვენი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები. მეზობლები. „ვინც ღმერთებს უყვართ ადრე კვდებიანო”, სხვა გვარად ვერ წარმოგვიდგენია მისი ასე უდროოდ შედგომა სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე. ქალბატონი ზაირა ხოშტარია-ჭანტურია გამოირჩეოდა სამაგალითო სტუმარმოყვარეობით, კეთილშობილებით. მებრძოლი სულის მქონე პიროვნება პირად გასაჭირსა და პრობლემებს არავის ახვევდა. ვერ შეეგუა მისი გული უსაყვარლესი მეუღლის იური ჭანტურიას ნაადრევ გარდაცვალებას, რომელთანაც შექმნა შესანიშნავი ოჯახი და ქვეყანას აღუზარდა 4 შვილი.

ბატონი იური საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო. თავისი ქველმოქმედებით ცნობილი. მიუხედავად საპასუხისმგებლო თანამდებობისა, არასდროს გაუწყვეტია კავშირი მის მშობლიურ აბაშასთან და სოფელ კაპანასთან. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა ის ყოველთვის პოულობდა დროს მშობლიურ რაიონში ჭირში და ლხინში ყოფილიყო. ბატონ იურამ დაგვიტოვა მაგალითი როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი, შენი მშობლები. დედა, რომელიც ავადმყოფობის გამო ჩაწოლილი იყო. თვითონ უკეთებდა ნემსს და როდესაც გარდაიცვალა 10 დღე მის კუბოს არ მოსცილებია და პატარა ბავშვივით მოთქვამდა - ჩემთვის ცხოვრების ერთი ნაწილი დასრულდა. სწორედ, ასეთი ადამიანის, მეუღლის დაკარგვას ვერ შეეგუა ქალბატონი ზაირა. წამოვიდა თბილისიდან და სოფელ კაპანაში სახლ-კარს, ბაღს, დიდ მეურნეობას უვლიდა. ეს ჩემს იურას გაუხარდებაო, ხშირად აკითხავდა მის საფლავს.

ძნელია მასზე წარსულში საუბარი. მთელი ცხოვრება მემახსოვრება მასთან გატარებული წლები, ბედნიერი ოჯახური შეხვედრები, ტკბილი საუბრები და მის მიერ მომზადებული კერძები.

მადლობა დიდო ქალბატონო, რომ სიყვარულზე დაფუძნებული სახლ-კარი ტკბილი და დაუვიწყარი მოგონებები დაგვიტოვე. ქალბატონ ზაირას აღზრდილი შვილებიდან ჩვენს ქალაქში კარგადაა ცნობილია ექიმი-პედიატრი ნინო ჭანტურია. ამ ქალბატონზე იმდენი თქმულა, დაწერილა, ფორმატი არ მაძლევს საშუალებას დაუსრულებლივ ვისაუბრო. გულწრფელად გითანაგრძნობ ჩემო ნინო. შენ ხომ შენი დედის განსახიერება ხარ. მჯერა ქალბატონ ზაირას სახელი დავიწყებას არ მიეცემა. ნიშანდობლივია, რომ აღდგომის წინა დღეებში დასრულდა ამ დიდი ქალბატონის ცხოვრება და ხალხმა გააცილა ის უკანასკნელ გზაზე. მჯერა, პირნათლად წარსდგება უფლის წინაშე და სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებს წმინდა სავანეში.

მშვიდობით ქალბატონო ზაირა. არასოდეს დაგივიწყებთ. კეთილი მეგობრები უკვდავვყოფთ თქვენს ნათელ ხსოვნას.

„თვალს გაახელენ იები
ავდარს შეცვლიან დარები
ყველგან მთაწმინდა იქნება
სადაც თქვენ დაიმარხებით”.

მეგობრების სახელით
ალფონზ მეტაქსა

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა